ეს არ მიეკუთვნება კეთილმსახურებას — მარხვა მოგზაურობაში

ჯააბირ იბნ აბდულლაჰი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოსცემს: მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოგზაურობაში იყო და დაინახა ხალხის შეკრება და ერთი ადამიანი, რომლის თავზეც ჩრდილი გაუკეთეს. მან იკითხა: «ეს რა არის?» უთხრეს: «ის მარხვას იცავს». მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ეს არ მიეკუთვნება კეთილმსახურებას — მარხვა მოგზაურობაში». ხოლო სხვა გადმოცემაში, რომელსაც იმამ მუსლიმი გადმოსცემს, ასეა ნათქვამი: «მიიღეთ ის შვება ალლაჰისაგან, რომელიც მან თქვენთვის ნებადართული გახადა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სამოგზაუროდ იყო, რა დროსაც შეამჩნია ერთი კაცი, რომელსაც ხალხის ჯგუფი თავს დასტრიელებდა, მზის მწველი სიცხისა და ძლიერი წყურვილის გამო მას უჩრდილავდნენ, მან იკითხა: რა მოუვიდა მას? უთხრეს: მარხულია, მან თქვა: მგზავრობაში მარხვა ღვთისმოშიშება არ არის, ალლაჰის მიერ თქვენზე ბოძებული სიადვილით ისარგებლეთ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4503